## 18 აგვისტო სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 162 (3646) 18 1968 წ. აგვისტო, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.




## ოლიმპიური საზრუნავი

მეხიკო, 16 აგვისტო. ოლიმპიადის ორგანიზატორებს სპორტსმენებისთვის მზად აქვთ 1067 მედალი — ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოსი. ყველაზე მეტი ჯილდო მოცურავეებს შეხვდებათ — 144. ისინი პროგრამის 33 სახეობაში გამოვლენ. დანარჩენი მედლები ასე განაწილდება: მძლეოსნობა — 36 — 135 (პირველი ციფრი პროგრამის სახეობათა რაოდენობას აღნიშნავს), ტანვარჯიში — 14 — 84, აკადემიური ნიჩბოსნობა — 7. — 78, ფარიკაობა — 8 — — 72, ფრენბურთი — 2— 72, ფეხბურთი — 1 — 57, ბალახის ჰოკეი — 1 — 54, ჭიდაობა — 16 — 48, კრივი — 11 — 44, ველოსპორტი — 7 — 42, კანოე და ბაიდარა — 7 — 39, საცხენოსნო სპორტი — 6 — 39, კალათბურთი — 1 — 36, აფროსნობა — 5 — 33, წყალბურთი — 1 — 33, ძალოსნობა — 7— 21, სროლა — 7—21, თანამედროვე ხუთჭიდი — 2 — 15.

მაშ ასე, პროგრამის 172 სახეობაში გათამაშდება ოქროს 352, ვერცხლის ამდენივე და ბრინჯაოს 363 მედალი. ბრინჯაოს მედალი მეტია, ვინაიდან ეს ჯილდოები გადაეცემა ნახევარფინალში გასულ ორ მოკრივეს.

* * *

გამოქვეყნდა ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნის გეგმა, რომელსაც საფუძვლად ორი რეპეტიცია უდევს. ცერემონია დაიწყება შაბათს, 12 ოქტომბერს, 10 საათსა და 54 წუთზე, მას შემდეგ, როცა სტადიონზე მექსიკის პრეზიდენტი მოვა. ასპარეზობის გახსნის ზეიმი დამთავრდება 3 საათისა და 9 წუთის შემდეგ, როცა ბოლო სპორტული დელეგაცია დატოვებს სტადიონს.

მიუხედავად ასეთი სიზუსტისა, გეგმაში ზოგიერთი ცვლილება მაინც შეიძლება მოხდეს საზეიმო გახსნის მესამე, დასკვნითი რეპეტიციის შემდეგ, რომელიც 25 აგვისტოს უნდა მოეწყოს.

საბოლოოდ ზუსტდება ოლიმპიური ჩირაღდნის გზა და ჩამოტანის გეგმა. აქ გამოაცხადეს, რომ ჩირაღდანი ამუამინდელი ოლიმპიადის სამშობლოში 6 ოქტომბერს ჩამოვა. მას ვერაკრუსის ნავსადგურიდან მეხიკოში მორბენლები ჩამოიტანენ (სულ 871 კაცი). ვერაკრუსში გემიდან ნაპირზე ჩირაღდანს ცურვით გამოიტანს 17 სპორტსმენი. ეს თავისებური ესტაფეტა იქნება.

* * *

გამოანგარიშებულია, რომ თვითმფრინავები ყოველ საათში მექსიკაში ჩაიყვანენ საშუალოდ... 1500 ოლიმპიელს. მათთვის აეროდრომზე მოწყობილია უზარმაზარი „მოსაცდელი დარბაზი“, ვინაიდან ოლიმპიურ სოფელში და ქალაქში ყველა სპორტსმენის ერთბაშად გადაყვანა შეუძლებელი იქნება.

## მაქს ეივე ნონას მშობლიურ ქალაქში

ცოცხალი ყვავილების თაიგულებით შეეგება ზუგდიდი მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, ჰოლანდიელ დიდოსტატს, დოქტორ მაქს ეივეს. ქალაქის საზოგადოებრიობამ საზეიმო შეხვედრა მოუწყო გამოჩენილ მოჭადრაკეს.

საზეიმო საღამო გახსნა საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა მ. დემურიამ. საპატიო სტუმარს მიესალმნენ მე-9 საშუალო სკოლის დირექტორი ს. ყურუა, პირველთანრიგოსანი მოჭადრაკე ქალი ა. ბაძაღუა, I-ლი საშუალო სკოლის მოსწავლე თ. ჩხეტია და სხვ.

— მოგესალმებით ანდრია დადიანისა და ნონა გაფრინდაშვილის ქალაქის მშრომელებს. კმაყოფილი ვარ, რომ ამ დიდებულ მოჭადრაკეთა სამშობლოს გავეცანი,—თქვა ეივემ. მან დამსწრეთ უამბო, რა პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობს ჰოლანდიაში ქართველი მსოფლიო ჩემპიონი ქალი. ბოლოს ჰოლანდიელმა დიდოსტატმა შეკითხვებზე უპასუხა.

დიდი ინტერესი გამოიწვია მ. ეივესა და ს. ფლორის ერთდროული თამაშის ალტერნატიულმა სეანსმა 21 დაფაზე. ბრძოლამ ორ საათზე მეტს გასტანა. დიდოსტატებმა 16 პარტია მოიგეს, დანარჩენი ყაიმით დაამთავრეს.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ზუგდიდში ახლდა ჰოლანდიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორი, საერთაშორისო ოსტატი გ. მიურინგი.

ბ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

## ლიდერი არ ცხრება

ტალინი, 17 აგვისტო. სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა პირველობის ნახევარფინალში საქართველოს ჩემპიონი ბ. გურგენიძე ლიდერობას განაგრძობს. VIII ტურში ესტონელ ხ. კიარნერთან მოგებით მას 6,5 ქულა გაუხდა. გურგენიძეს მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩება ტაშკენტელი ოსტატი გ. ბორისენკო. 5,5-5,5 ქულა აქვთ ერევნელ ა. ვაგანიანს, რიგელ ი. კლოვანსა და ტალინელ რ. ეტრუკს.

## სანაძემ თოჯინა დაიმსახურა

დუშეთი, 17 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ქალთა პირველობის VIII ტურში ყველა მოხიბლა თბილისელი მოსწავლის მ. სანაძის თამაშმა. იგი თამამად იბრძოდა ტურნირის ერთ-ერთი ლიდერის თ. ხუგაშვილის წინააღმდეგ. პარტიის ფინალში სანაძემ ეტლისა და კუს შეწირვით მეტოქის მეფე დაამატა. ეს მან იმდენად ლამაზად განახორციელა, რომ საგანგებო ჯილდო — თოჯინა დაიმსახურა.

მ. ჩომახიძემ დაამარცხა ლ. კოროშინაძე, ქ. გოგიავამ — ც. სიორდია (ცხაკაია).

სხვა პარტიები გადაიდო. დაახლოებით თანაბარ პოზიციაში შეწყდა ნ. ჩიქობავა — ნ. ალექსანდრიას, ც. კობაიძე — ე. ლომიძის (ქუთაისი) და ს. ივანოვა — კ. პილცერის შეხვედრები. მხოლოდ 14 სვლა გაკეთდა ზ. შენგელია (სამტრედია) — ც. კახაბრიშვილის პარტიაში, რომელიც პირველის ავადმყოფობის გამო გადაიდო.

8 ტურის შემდეგ ლიდერები არ შეცვლილან: ალექსანდრიას 7 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, თ. ხუგაშვილს — 6,5. ლიდერებს კვალში ჩაუდგა სანაძე — 5,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ნ. სოროკინი,
პირველობის მთავარი მსაჯის მოადგილე, სპორტის ოსტატი.

## სპორტული საათი...

◆ ბუდაპეშტი, 17 აგვისტო. 13 გაშვებული ბურთი და არც ერთი გატანილი — ასეთია შედეგი სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრების მონაწილეობისა „ოლიმპიური იმედების“ ტურნირის წინასწარ თამაშებში. საბჭოთა ჭაბუკებმა წააგეს შეხვედრები იუგოსლავიის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიისა და რუმინეთის გუნდებთან. პირველ პრიზს გაითამაშებენ ქვეჯგუფებში გამარჯვებულები — იუგოსლავიისა და უნგრეთის ნაკრები კოლექტივები. საბჭოთა გუნდს კუბელებთან მატჩის შედეგის მიხედვით უკეთეს შემთხვევაში შეუძლია ბოლოსწინა, IX ადგილის დაკავება.

◆ ვენა, 17 აგვისტო. საპარაშუტო სპორტში აქ დაწყებულ მსოფლიო ჩემპიონატში ბულგარეთის ნაკრებმა I ადგილი დაისაკუთრა დაშვების სიზუსტეზე ჯგუფურ ნახტომში — 3963,3 ქულა.

## წაგების მიუხედავად

ლოანო, 17 აგვისტო. კალათბურთელ ვაჟთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში სსრ კავშირის ნაკრებმა წააგო შეჯიბრების მასპინძლებთან — იტალიურ კლუბ „ორანსოდა-კანტუსთან“ — 59:69 (25:25), მაგრამ „გალფ ოლ სტარსთან“ (აშშ) მანამდე მოპოვებული გამარჯვების წყალობით იგი გადამწყვეტ მატჩში პირველობისთვის იბრძოლებს. საბჭოთა გუნდის მეტოქე ისევ „ორანსოდა-კანტუ“ იქნება.

## მძლეოსნობის ისტორიაში მესამე

ლენინაკანი, 16 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება მძლეოსანთა საკავშირო ჩემპიონატი. მეოთხე დღის პირადი შეჯიბრების მთავარი მოვლენა იყო წარმატება გ. სოფინასი (მოსკოვის ოლქი), რომელმაც ხუთჭიდში 5038 ქულა დააგროვა. 26 წლის ფიზკულტურის მასწავლებელმა მძლეოსნობის ისტორიაში მესამე შედეგი აჩვენა. ლენინაკანის სტადიონის უჩვეულოდ მოყვითალო რეზინ-ბიტუმის ბილიკზე, ზღვის დონიდან 1500 მეტრზე მეტ სიმაღლეზე, 30-გრადუსიან სიცხეში სოფინამ 80 მეტრზე თარჯრბენში 11,3 აჩვენა, ბირთვი 15,28 მეტრზე ჰკრა, დასძლია 166 სმ სიმაღლე და 615 სმ სიგრძე. დასასრულ, მან 24,8 წამში გაირბინა 200 მეტრი. სპორტსმენმა ქალმა ჭეშმარიტად „ოლიმპიური სიმშვიდით“ დაამყარა პირადი რეკორდები ხუთჭიდის ყველა სახეობაში.

სოფინაზე უკეთესი შედეგი ნაჩვენები აქვთ მხოლოდ მსოფლიო რეკორდსმენს ი. პრესს და დასავლეთგერმანელ ჰ. როზენდალს (წლეულს). ამრიგად, წლევანდელ ოლიმპიურ სეზონში ქულათა 5-ათასიანი ჯამი ორმა საბჭოთა სპორტსმენმა ქალმა მოაგროვა. ესენი არიან სოფინა და ევროპის ჩემპიონი გ. ტიხომიროვა. დღეს ტიხომიროვამ II ადგილი დაიკავა—4991 ქულა.

თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტმა გ. კონონენკომ VI ადგილი დაიკავა — 4598 ქულა (80 მ თარჯრბენი — 10,9, ბირთვის კვრა — 11,58, სიმაღლეზე ხტომა — 151, სიგრძეზე ხტომა — 591, 200 მ — 25,4).

სიმაღლეზე მხტომელი ვაჟებისთვის მსაჯებმა წლევანდელ სეზონში საბჭოთა სტადიონზე მეორედ გადეს თამასა 220 სანტიმეტრზე. ჯერ კიდევ მაისში ეს ზღუდე ვ. გავრილოვმა გადალახა. ლენინაკანის შეჯიბრებაში იგი მსუბუქი ტრავმის გამო არ მონაწილეობს, მაგრამ ამ სიმაღლეზე იერიში მიიტანა მისმა თანამემამულემ, მეგობარმა და მუდმივმა მეტოქემ, მოსკოველმა სტუდენტმა ვ. სკვორცოვმა. ერთ-ერთი ცდის დროს იგი წარმატებას მიუახლოვდა, მაგრამ თამასა მაინც ჩამოვარდა. სკვორცოვი სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა — 218 სმ. თუმცა, ფაქტიურად, მეხიკოს საგზურის გარანტიას ასეთი შედეგიც იძლევა.

სიმაღლეზე მხტომელებიდან ყველაზე ბედნიერი იყო ბრინჯაოს მედლის მფლობელი რ. ამბარიანი. მან ჩინებული საჩუქარი მოუმზადა თანამემამულეებს, როცა მათს თვალწინ სომხეთის ახალი რეკორდი დაამყარა. ვერცხლი ხვდა 29 წლის მოლდაველ სპორტსმენს, საბჭოთა ნაკრების ვეტერანს, ვ. ბრუმელის თანამებრძოლს ვ. ბოლშოვს — 216 სმ. ყველაზე „კოსმოსური“ მხტომელი ბრუმელი ლენინაკანში მაყურებელთა შორისაც არ ყოფილა. ვალერი მორიგ ოპერაციას იკეთებს — მკურნალობის კურსი გრძელდება.

სხვა დღევანდელი შეჯიბრებებიდან აღსანიშნავია მოსკოველი ტ. ტალიშევას გამარჯვება 80 მეტრზე თარჯრბენში, სადაც ფინალში უჩვეულოდ შეუპოვარი ბრძოლა გაჩაღდა. ტალიშევამ და თბილისელმა ლ. იევლევამ სტარტიდანვე დიდი სისწრაფე აიღეს. ისინი ჯიუტად იბრძოდნენ ყოველი სანტიმეტრისთვის და ფინიშთან ერთდროულად მიიჭრნენ — 10,6 წამი. გამარჯვების ბედი ფოტოფინიშმა გადაწყვიტა. ლიუდმილა მკერდით ჩამორჩა და სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალი ტალიშევამ დაისაკუთრა.

შუბის მტყორცნელ ვაჟებში, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველას აჯობა მსოფლიო რეკორდსმენმა ი. ლუსისმა — 91,10 მ. იგი სულ ახლოს მივიდა თავისივე მსოფლიო რეკორდთან.

110 მეტრზე თარჯრბენში საუკეთესო იყო ო. სტეპანენკო (მოსკოვი) — 13,8.

დღეს 4 × 100 მეტრზე ესტაფეტაში 43,9 წამი აჩვენეს ლ. ტკაჩენკომ, გ. ბუხარინამ, ვ. პოპკოვამ და ლ. სამოტიოსოვამ. სსრ კავშირის ნაკრებმა ახალი ეროვნული რეკორდი დაამყარა.

კარგად იასპარეზა თბილისელმა ჯ. გუდაშვილმა, რომელმაც ბადროს ტყორცნაში წინასწარი შეჯიბრება მოიგო — 55,60 მ. ამ შედეგს მან პირველივე ცდაზე მიაღწია.



სურათზე: ლ. იევლევა, რომელმაც 80 მეტრზე თარჯრბენში II ადგილი დაიკავა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

## მეხიკოს სიგნალები

მეხიკო, 17 აგვისტო. ოლიმპიელებს მიწისძვრისა ნუ შეეშინდებათ: „სოფლის“ მშენებლებმა, სადაც სპორტსმენები იცხოვრებენ XIX ოლიმპიური თამაშების დროს, ეს საშიშროებაც გაითვალისწინეს. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ეს შენობები (სულ 29) მშენებლებმა უკვე გადასცეს საორგანიზაციო კომიტეტს. როგორც ცნობილია, „სოფელი“ 10 ათას სპორტსმენს დაიტევს. თვითეულ შენობას ბერძნული მითოლოგიის რომელიმე გმირის სახელი ჰქვია.

ოლიმპიელთა განკარგულებაში იქნება 904 ბინა. თვითეულში 3-4 ოთახი და სამი აბაზანაა.

მექსიკური სტილით ნაგებ შენობებს ირგვლივ ბაღები აკრავს, კლინიკები და ტანვარჯიშული დარბაზები ყველა შენობასთან ახლოა. სოფელში არის საერთაშორისო კლუბი, თეატრი, ტრეკი, სპორტული სარბიელი (ღია) და საცურაო აუზი.

* * *

„სოფელს“ აკრავს პრეს-ცენტრი, რომლის მოწყობაც გრძელდება. სულ პრეს-ცენტრში და სოფელში 1700 ტელეფონი უნდა დაიდგას. შემაერთებელი კაბელის სიგრძე 50 კილომეტრია.

* * *

პირველი სტუმრები ოლიმპიურ სოფელში სექტემბრის შუა რიცხვებში ჩამოვლენ. უფრო ადრე, 6-8 სექტემბერს, ცხენებს ჩამოიყვანენ. არც გასაკვირია: აკლიმატიზაცია ცხენებს ადამიანებზე ნაკლებ როდი სჭირდებათ. პირველი უცხოელი ოთხფეხა სტუმრები მეხიკოს ეწვევიან საფრანგეთიდან, გფრ-იდან, შვეიცარიიდან.

ოლიმპიადის დღეებში მეხიკოს ქუჩებში მოძრაობის მარეგულირებელთა რიცხვი 300-მდე გაიზრდება. ეს იმიტომ, რომ დიდი სპორტული ასპარეზობის დროს ავტომობილების მოძრაობა ძალზე იმატებს. ახალმა მარეგულირებლებმა სპეციალური მომზადება გაიარეს. მათ პირველ ყოვლისა ასწავლეს, თუ როგორ აიცილონ თავიდან შეფერხება ოლიმპიური სტადიონისკენ მიმავალ გზებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ულიდერებოდაც საინტერესო იყო

**სევასტოპოლში დამთავრდა პროფკავშირების ტანმოვარჯიშეთა საკავშირო ასპარეზობა. პირველად გათამაშდა პროფკავშირულ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს თასი, შემდეგ კი ოქროს მედლები ცალკეულ სახეობებში. „ტრუდის“ კორესპონდენტმა პროფკავშირთა გუნდის მთავარ მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ვ. ლავრუშჩენკოს სთხოვა რამდენიმე სიტყვა ეთქვა ამ ტურნირის შედეგებზე.**

● **რა იყო შეჯიბრების მიზანი?**

— ჩვენი საუკეთესო ოსტატები ამჟამად ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადებიან და სევასტოპოლის ტურნირში მონაწილეობა არ მიუღიათ. საასპარეზოდ ჩამოვიდნენ ჩვენი საზოგადოებების სხვა უძლიერესი ტანმოვარჯიშეები, რომელთა სიაც საკავშირო საბჭოს ტანვარჯიშის ფედერაციამ დაამტკიცა. შეჯიბრების მიზანი იყო კიდევ ერთხელ შემოწმება „მეორე“ და „მესამე“ ნომრების ძალისა, ოსტატობის ამაღლება ცალკეულ იარაღებზე. სარბიელზე ლიდერები არ გამოსულან, მაგრამ შეჯიბრება მაინც ძალიან საინტერესოდ ჩატარდა. სტადიონმა „ჩაიკამ“ დიდძალი მაყურებელი მიიზიდა.

● **ვის ხვდა საპატიო თასები?**

— შეჯიბრების პროგრამა საკმაოდ რთული გახლდათ და ამიტომ გამარჯვებაც უფრო საპატიო იყო. ქალებში I ადგილზე გავიდა ვოლჟსკის „ტრუდის“ წარმომადგენელი ლ. ეჟოვა — 37,35 ქულა. II ადგილზეა ვორონეჟის სპარტაკელი გ. ანისიმოვა (37,35), III — ვ. სტეპანოვა („ზენიტი“) — 36,9.

ვაჟთა შეჯიბრებაში თასი მოიპოვა კიეველმა ე. ფურმანმა („ბურევესტნიკი“) — 55,9 ქულა. II ადგილზეა ა. კონოვი (მოსკოვის „სპარტაკი“) — 55,6, III — ნ. ვენდტი („ზენიტი“) — 55,35.

● **ვინ მოიგო მედლები ცალკეულ იარაღებზე პირად პირველობაში?**

— ქალებიდან ლ. სურმენიოვამ („ზენიტი“), რომელმაც ყველას აჯობა ხტომაში, ორძელზე გამარჯვებულმა ტ. ჩუბაროვამ (მოსკოვი, „ტრუდი“), გ. ანისიმოვამ, რომელიც პირველი იყო დვირზე, თავისუფალ ვარჯიშში გამარჯვებულმა ლ. ეჟოვამ.

ვაჟებში საპატიო ჯილდოები ასე განაწილდა: თავისუფალ ვარჯიშში და ღერძზე ყველას აჯობა გ. ბოგდანოვმა (მოსკოვი, „ტრუდი“), ტაიჭზე — ნ. სუროვმა (მოსკოვი, „ლოკომოტივი“), რგოლებზე — შ. აზარაშვილმა (თბილისი, „ბურევესტნიკი“), ხტომაში — ა. კატკოვმა („ზენიტი“), ორძელზე — ქ. ღუდუშაურმა (თბილისი, „ბურევესტნიკი“).

● **კიდევ ვინ გამოიჩინა თავი?**

— უნდა აღინიშნოს განთიადელი ქალების წარმატება, რომელთაც ს. ბურჯანაძე წვრთნის. ახალგაზრდა თბილისელმა სპორტსმენმა ლ. ლაპისტოვამ, მაგალითად, სპეციალური პრიზი დაიმსახურა თავისუფალი ვარჯიშის ორიგინალური კომპოზიციისთვის. დვირზე შეჯიბრებაში მას ვერცხლის მედალი ხვდა, თავისუფალ ვარჯიშში და ორძელზე კი ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრა. შესამჩნევია პროგრესი „ენბეკის“ ქალიშვილების ოსტატობაში, რომელთაც ვ. კალინინი წვრთნის. კარგად გამოვიდნენ ვორონეჟელები („სპარტაკი“) და მოსკოველები („კრილია სოვეტოვი“). სპორტსმენთა გამოსვლები უმეტეს შემთხვევაში გამოირჩეოდა სირთულით და შესრულების მაღალი კლასით. ეს სასიამოვნო ამბავი მოწმობს, რომ ჩვენს ლიდერებს კარგი ცვლა ეზრდებათ.

● **როგორია პროფკავშირების ტანმოვარჯიშეთა გეგმები?**

— უძლიერესები მეხიკოში გამოვლენ, დანარჩენები კი „ოლიმპიური იმედების“ საკავშირო ასპარეზობისთვის მოემზადებიან.

---

## სპორტული ამბები — საათი!

◆ **ოში, 17 აგვისტო.** „სპარტაკის“ მთამსვლელებმა დაიპყრეს პამირის უმაღლესი წერტილი — კომუნიზმის პიკი (7495 მ). თავიანთი ასვლა მათ კომკავშირის 50 წლისთავსა და მეხიკოს ოლიმპიადას მიუძღვნეს. ეს ყველაზე მასობრივი ლაშქრობაა ამ პიკზე, რომელიც პირველად განხორციელდა ერთდროულად სამი მხრიდან, — ბანაკიდან გადმოსცა საკდეხის კორესპონდენტს საბჭოთა მთამსვლელობის ვეტერანმა ვ. აბალაკოვმა. ლენინგრადის გუნდს მიუძღვებოდა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი პ. ბუდანოვი, ყაბარდო-ბალყარეთის ჯგუფი კედლით აიყვანა სპორტის ოსტატმა გ. სტეპანოვმა, ხოლო ყველაზე ახალგაზრდა კაპიტანი — ვ. აბალაკოვის ვაჟი ოლეგი მოსკოველებთან ერთად მესამე მხრიდან ავიდა მწვერვალზე.

◆ **მალმე, 17 აგვისტო.** 20 წლის შვედმა ჭოკით მხტომელმა ჩ. იზაკსონმა აქ თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა — პირველივე ცდაზე აიღო 520 სმ. მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ იზაკსონს მეხიკოს ოლიმპიადაში გამარჯვების დიდი შანსი აქვს.

◆ **ლაიპციგი, 17 აგვისტო.** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოცურავეთა აქ მიმდინარე ჩემპიონატში როსტოკელმა სიგრიდ გორალმა ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა 800 მეტრზე თავისუფალი სტილით — 9.43,6. შვედი ელიზაბეტ ლიუნგრენ-მორისის ძველი რეკორდი იყო 9.45,0. მსოფლიო რეკორდსმენმა როლანდ მათესმა 100 მ. გულაღმა 59 წამში გაცურა. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს და 0,6 წამით ჩამორჩება მათესისავე მსოფლიო რეკორდს, რომელიც მან აქ შარშან დაამყარა.

◆ **სოფია, 17 აგვისტო.** ძალოსანთა შორის მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში, ჩემი აზრით, გაიმარჯვებენ მ. ნასირი (ირანი), ი. მიაკე (იაპონია), ვ. ბაშანოვსკი (პოლონეთი), ვ. კურენცოვი (სსრ კავშირი), კ. არნოლდი (გდრ), ქ. კანგასნიემი (ფინეთი) და რ. ბედნარსკი (აშშ), — აქ ასე განუცხადა გაზეთ „ნაროდენ სპორტის“ კორესპონდენტს ძალოსნური სპორტისა და ფიზიკური კულტურის საერთაშორისო ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ო. სტეიტმა (დიდი ბრიტანეთი).

## გაზრობათა თასზე

**ლიდსი, 16 აგვისტო.** ინგლისის ამ ქალაქში გაიმართა ბაზრობათა თასის გათამაშების პირველი ფინალური მატჩი, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლიდს იუნაიტედი“ და ბუდაპეშტის „ფერენცვაროში“.

მწვავე ბრძოლა მასპინძელი ფეხბურთელების გამარჯვებით აღინიშნა — 1:0.

---

# რ. სიქტურაშვილი სპორტის დიდი ენთუზიასტია

საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ფეხბურთელთა 14 გუნდი მონაწილეობდა „კოლმეურნის“ სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს პირველობის გათამაშებაში.

წარმატებით ითამაშეს ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის დ. გურამიშვილის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელებმა, რომლებმაც ზედიზედ მეორედ მოიპოვეს I ადგილი. აუცილებელი აღნიშვნის ღირსია ამ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის, სპორტის დიდი ენთუზიასტის რ. სიქტურაშვილის ყოველდღიური მზრუნველობა და დახმარება ახალგაზრდა სპორტსმენთა მიმართ.

II ადგილზე გავიდა ცხინვალის რაიონის სოფ. ტბეთის, ხოლო III — წინაგორის (ლენინგორის რაიონი) გუნდი.

**ვ. მელქოევი.**
**(ჩვენი კორ.).**

ცხინვალი.

---

# თასი მეორედ

ბათუმში გაიმართა ველოსიპედისტთა ტრადიციული შეჯიბრება კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის გარდამავალ თასზე. პირად-გუნდურ ასპარეზობაში მონაწილეობდნენ აჭარის „კოლმეურნის“, „განთიადისა“ და „დინამოს“ გუნდები. უკონკურსოდ გამოდიოდა საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები. რბოლა ჩატარდა ქალაქის რკალურ ტრასაზე. სტარტი და ფინიში დანიშნული იყო „ინტურისტის“ სასტუმროს წინ. ქალებს უნდა გაევლოთ 10 წრე, ვაჟებს — 20 (თითო წრე 2,5 კილომეტრს მოიცავდა).

ქალებში რბოლას თავიდანვე სათავეში ჩაუდგა „კოლმეურნის“ წარმომადგენელი ლ. მელნიკი, რომელმაც ინიციატივა ბოლომდე შეინარჩუნა და პრიზიც დაიმსახურა. გამარჯვებულმა 25 კილომეტრის გავლას 41.30,0 მოანდომა. II ადგილზე გავიდა განთიადელი ზ. სვირიდოვა — 42.20,0, III — „კოლმეურნის“ გუნდის წევრი ვ. კოზლოვა — 43.20,0.

ვაჟებში ბრძოლა უმთავრესად გაჩაღდა უკონკურსოდ მონაწილე თბილისელებს გ. ბულბულოვს, ვ. სიდანოვსა და ბათუმელ ო. ნიშნიანიძის შორის. ფინიშის ხაზი პირველმა სიდანოვმა გადაჭრა. მას მიჰყვა ნიშნიანიძე, შემდეგ კი ბულბულოვი. სამივე მონაწილეს ერთნაირი შედეგი აღმოაჩნდა — 1:13.40,0. გამარჯვება მიენიჭა ნიშნიანიძეს, როგორც კონკურსის მონაწილეს.

გუნდურ ჩათვლაში გარდამავალი თასი მეორედ მოიპოვეს „კოლმეურნის“ ველოსიპედისტებმა.

**მ. კირაკოსიანი,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

---

# „განთიადის“ კალათბურთელებში უძლიერესნი

აფხაზეთის დედაქალაქში დამთავრდა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა კალათბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ აფხაზეთის, აჭარის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და გორის გუნდები.

ქალთა შორის გაიმარჯვეს თბილისის სპორტკლუბ „უშბას“ წარმომადგენლებმა. II ადგილზე გავიდა ქუთაისის გუნდი, III — რუსთავის კოლექტივი. ვაჟებში უძლიერესი იყო აჭარის ნაკრები. საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ქუთაისისა და აფხაზეთის გუნდებიც.

**შ. ჯალალონია.**
**(ჩვენი კორ.).**

სოხუმი.

---

## ფეხბურთი

◆ **სოხუმი**

გაგრის „ტორპედოსა“ და სოხუმის აეროპორტის ფეხბურთელებმა უფლება მოიპოვეს ერთმანეთში გაეთამაშებინათ აფხაზეთის თასის ფინალური მატჩი ფეხბურთში. სოხუმელებმა კარგად ითამაშეს და დაამარცხეს მოწინააღმდეგე — 4:0. ისინი საპატიო პრიზის მფლობელები გახდნენ.

**გ. პოლოსიანი,**
**რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.**

---

## „ლელოს“ წერილის კვალდაკვალ

### „ასანთის შუქზე“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 28 ივლისის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც ლაპარაკი იყო ჭაბუკ ველოსიპედისტთა საქალაქო შეჯიბრების ნაკლოვან მხარეებზე.

როგორც თბილისის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის თავმჯდომარემ გ. რცხილაძემ გვაცნობა, წერილში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. დღეისთვის ველოსტადიონი ყოველმხრივ მზადაა.

---



# ადრე დილით

ფოტორეპორტაჟი

●





დილის 7 საათია. თბილისის „სპარტაკის“ საცურაო აუზის კარი იღება. იწყება ვარჯიში (სურ. 1), შემდეგ კი უკვე აუზშიც შეიძლება ჩასვლა. აბა, სცადეთ და „ირბინეთ“ წყალზე (სურ. 2)! ეგ არაფერი, რომ პირველ ნაბიჯებს ა. ნაზარბეკოვი მწვრთნელ მ. მნათობიშვილის დახმარებით დგამს (სურ. 3). იგი დარწმუნებულია, რომ მალე მიაღწევს საწადელს. მ. ოგანეზოვამ ხომ უკვე წყალში ხტომაც ისწავლა (სურ. 4), ს. სმირნოვა და ს. ვოლოდინა კი ერთმანეთსაც ეჯიბრებიან (სურ. 5).

კმაყოფილია პროფესორი ა. მინდაძე (სურ. 6, მარჯვნივ). ამჯერად მან ორი კაცი ჩამოიტოვა — საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს განყოფილების უფროსი შ. შავთვალაძე და რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილე გ. ჟამიერაშვილი.

— ცურვა ჩინებული რამაა. მადლობა ჩვენს მწვრთნელებს გ. მეფარიშვილს, ვ. ეგოროვს, ი. ქართველიშვილს, ბ. ჩერნიკოვს, თ. ბიტ-ტომასს! — გვითხრა აუზის ერთ-ერთმა ვეტერანმა, ექიმმა პ. ჭყონიამ.

ამ მადლობას უერთდება საერთო ფიზიკური მომზადების ჯგუფის დანარჩენი 120 წევრიც.

**ვ. ბუკინი.**
ფოტო ავტორისა.







**„ლელო" ინტერვიუ**

„მთავარია თანამედროვე, კომფორტაბელური ტრეკი და ჩემპიონები და რეკორდსმენებიც მრავლად დაიზრდებიან."

„...რა დიდი მნიშვნელობა აქვს გუნდის ერთსულოვნებას, მეგობრულ მხარდაჭერას, მიზანსწრაფვას."

# ომარ ფხაკაძე თავის თავზე და მეტოქეებზე

ველოსიპედისტთა საკავშირო ჩემპიონატის წინ ომარ ფხაკაძის უპირატესობა სპრინტში იმდენად აშკარა და დამაჯერებელი იყო, რომ ოქროს მედლის საკითხი ყველა სპეციალისტს გადაწყვეტილად მიაჩნდა. როგორც შეჯიბრების მსვლელობამ ცხადყო, ამ ერთსულოვნებას საკმაოდ რეალური საფუძველი ჰქონდა. და ვინაიდან ფხაკაძემ ჩემპიონის მეხუთე მედალი თითქმის უბრძოლველად მოიპოვა, ბუნებრივად დაისვა საკითხი: რომელი გამარჯვება იყო მისთვის უფრო იოლი და რომელი ძნელი?

მე სამ ჩემპიონატს დავესწარი და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: წლეულს ხარკოვში ფხაკაძეს ვერც ერთმა სპორტსმენმა ვერ გაუწია ოდნავი წინააღმდეგობაც კი, ისეთი, როგორიც საკავშირო პირველობის მეოთხედფინალს, ნახევარფინალს, ან ფინალს შეშვენის. ორი დანარჩენი ჩემპიონატის მონაწილე ფხაკაძის მწვრთნელი ა. გუნია იგივე აზრისაა: ყველაზე იოლად ომარმა წლევანდელი ოქროს მედალი მოიგო.

რით არის გამოწვეული ეს უპირატესობა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ოლიმპიადის წელს სპორტსმენები განსაკუთრებულ ფორმაში არიან და ფხაკაძის უპირატესობას მეტოქეების სისუსტეს ვერ მიაწერ. სხვათა შორის, თვითონ ომარს მიაჩნია, რომ ჯერ კიდევ შორსაა ნამდვილი მზადყოფნისგან. იგი ამბობს, ვეცდები უმაღლეს ფორმას ოლიმპიადის წინ მივაღწიოო.

ამ და სხვა საკითხების ირგვლივ ამასწინათ საუბარი მქონდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონ ო. ფხაკაძესთან.

ნ. გუგუშვილი.

**● წლეულს თქვენ საკმაოდ ბევრი იმოგზაურეთ საზღვარგარეთ. რომელ შეჯიბრებას ანიჭებთ ყველაზე დიდ მნიშვნელობას?**

— ჰოლანდიაში (უტრეხტი, ალკმარი) ჩვენი შეხვედრები უფრო საწვრთნელი ხასიათისა. იყო და ამიტომ თავს მაინცდამაინც არ ვიკლავდით. იტალიაში კი ერთ-ერთი შეჯიბრება აუცილებლად უნდა მომეგო. ამას მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვისაც (მორალური) და ტურნირის ორგანიზატორებისთვისაც (ფინანსური). გამოვედით ხუთ ქალაქში — ვარეზეში, გენუაში, ტურინში, ფერარასა და ფორლიში. გენუაში თითქოს ავისრულე კიდეც საწადელი, მაგრამ ბოლო მომენტში, ზედ ფინიშის წინ, ველოსიპედის თვალი აბალეშმშრალ სალებავზე დამისრიალდა და დავეცი. მორელონმა, რომელის სუნთქვა ზურგს უკან მესმოდა, ჩემი მისია დაასრულა.

> **მორელონი — მეორე...**
>
> **კოპენჰაგენი. ამ დღეებში „ორდრუპის" ცნობილ ველოტრეკზე გაიმართა სპრინტერთა საერთაშორისო მატჩი, რომელიც მოიგო დანიელმა პ. პედერსენმა. მსოფლიო ჩემპიონი დ. მორელონი II ადგილზე გავიდა. მესამე იყო ნ. ფრედბორგი.**

ფორლიში პირველი ადგილი დავიკავე — ჩამოვიტოვე იგივე მორელონი და ბორგეტი. დანიაში სამჯერ ავიღე სტარტი. კოპენჰაგენში, ოდენზესა და ორჰუსში. კოპენჰაგენში, ალბათ გახსოვთ, შეჯიბრებიდან მომხსნეს, ორ მომდევნო ასპარეზობაში კი მეორე ადგილები დავიკავე მორელონის შემდეგ.

**● როგორია თქვენი პირადი შეხვედრების ანგარიში მორელონთან?**

— წლეულს — 4:1 მორელონის სასარგებლოდ, მაგრამ ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. შარშან მორელონს ანგარიშით 7:2 მოვუგე, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონი მაინც ის გახდა. იქნებ წლეულს შევცვალოთ როლები?

**● როგორც ჩანს, მორელონი სხვებზე მეტად ემზადება ოლიმპიადისთვის?**

— არა, მაგას ვერ ვიტყვი: ოლიმპიადისთვის ყველა ერთნაირად ემზადება, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონი სხვებზე ადრე შევიდა ფორმაში. სისწრაფე მას მუდამ საკმარისი ჰქონდა, ტაქტიკურად კი ამ ტურნესთვის უნაკლოდ იყო მომზადებული. მორელონი ათ ქალაქში გამოვიდა და არც ერთი შეცდომა არ დაუშვია.

**● გამოდის, მორელონს ამჟერადაც განაღდებული აქვს გამარჯვება.**

— ახლა მსოფლიო ჩემპიონი სპორტული ფორმის შენარჩუნების მეტად პასუხსაგები ამოცანის წინაშე დგას. ამ მხრივ, მე თუ მკითხავთ, მისი მეტოქეები უფრო ხელსაყრელ პირობებში არიან.

**● და თქვენც მათ შორის?**

— დიახ, თუ გნებავთ, მეც. საქმე ისაა, რომ ბოლო საზღვარგარეთული ტურნე ჩემთვის მეტად სასარგებლო იყო ტაქტიკის მხრივ. სისწრაფე ახლაც კარგი მაქვს და ვფიქრობ, მომავალში კიდევ უფრო მაღალი მექნება. 11,2 წამი, რომელიც ვარეზეში ვაჩვენე და ამ ტურნეში ვერც ერთმა უცხოელმა სპრინტერმა ვერ გაიმეორა, ჩემთვის არც ისე მაღალია. მორელონის საუკეთესო დრო კი 11,4 იყო. როგორც ხედავთ, ერთგვარი უპირატესობა მსოფლიოს ჩემპიონთან უკვე მაქვს.

**● თქვენი სიტყვები და განწყობა იმის მაჩვენებელია, რომ ჰოლანდიის, დანიისა და, განსაკუთრებით, იტალიის სტარტებით კმაყოფილი ხართ.**

— ჭეშმარიტად. 10 შეჯიბრებიდან რვაში მივიღე მონაწილეობა. დავიკავე ორჯერ I, ოთხჯერ II და ორჯერაც III ადგილი. ყველა სპრინტის მოგება ზედიზედ ძალიან ძნელია, მით უმეტეს, როცა წვრთნა მიზნად სხვა ამოცანებსაც ისახავს. საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდში მთელი 10 კილოგრამი დავიკელი. პირადად მე ყველაზე დიდ მიღწევად სწორედ ეს მიმაჩნია.

**● ამ საუბარში უცხოელი სპრინტერებიდან ჯერჯერობით რატომღაც მხოლოდ მორელონი ვახსენეთ. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ სხვებმა თქვენთვის სპორტული მნიშვნელობა დაკარგეს?**

— ასე რომ იყოს, მორელონთან გამკლავება ერთიორად გამიადვილდებოდა. მართალია, ჯერჯერობით ფორმაში არ არიან ტრანტენი, ტურნი, ორი ახალგაზრდა იტალიელი — ბორგეტი და როსი, მაგრამ ეს მხოლოდ ჯერჯერობით. მეხიკოს ოლიმპიადისთვის ისინი შევლენ ფორმაში. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული და ამიტომაც ილუზიებს არ ვქმნი.

**● ფინალში პარტნიორად ვის ისურვებდით?**

— მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ძლიერია, მაინც მორელონს. მის წინააღმდეგ ბრძოლა მუდამ სასიამოვნოა, რადგან დარწმუნებული ხარ, იგი არასდროს მიმართავს რაიმე ხრიკს, არასპორტულად არ მოიქცევა. იტალიელები კი გამარჯვების მისაღწევად უკანონო გზებსაც არ თაკილობენ. მორელონის დევიზია პატიოსან ბრძოლაში გამარჯვება, იტალიელებისა — გამარჯვება, რადაც უნდა დაჯდეს.

**● ერთი განყენებული შეკითხვა: პროფესიონალი ველოსიპედისტები უფრო ძლიერი არიან, თუ მოყვარულები?**

— ზემოჩამოთვლილი კომპანია დღეს მსოფლიოში აბსოლუტურად უძლიერესია, მორელონის რანგის სპრინტერი კი პროფესიონალებს დიდი ხანია არ ჰყოლიათ. მართალია, იყო დრო, როცა პროფესიონალების ოსტატობა და სისწრაფე აღემატებოდა მოყვარულებისას. ეს იყო მაშინ, როცა საუკეთესო მოყვარულები, როგორც წესი, პროფესიონალებში გადადიოდნენ. ახლა პროფესიონალებს რამდენიმე წელია არ მიუღიათ შევსება მოყვარულთაგან და მათი აქციებიც დაეცა.

**● რა გეგმები გაქვთ მეხიკოსთვის?**

— საუკეთესო. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ფრთები შევასხა ამ გეგმებს.

**● რას უსურვებთ თქვენს ახალგაზრდა კოლეგებს, ქართველ ველოსიპედისტებს?**

— პირველ ყოვლისა, თბილისის ტრეკის მშენებლობის სწრაფ ფინიშს. მთავარია თანამედროვე, კომფორტაბელური ტრეკი და ჩემპიონები და რეკორდსმენებიც მრავლად დაიზრდებიან. ოღონდ ჩვენც — „ვეტერანებსაც" უნდა მოგვისწრონ ამ ტრეკმა.





მართალია, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ველოსიპედისტია, მაგრამ მისთვის უცხო არ არის სხვა „ამქვეყნიური ცდუნებანი". კალათბურთის თამაშის დროს იგი ნამდვილი კალათბურთელია, ცურვის დროს — მოცურავე...

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# დუნაის იგსის სარგიელზე

**თბილისელი ოსტატი რ. ჯინჯიხაშვილი ახლახან დაბრუნდა ავსტრიიდან, სადაც იგი სსრ კავშირის გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა სტუდენტთა მსოფლიოს IX საჭადრაკო ოლიმპიადაში. როგორც ცნობილია, საბჭოთა სტუდენტებმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრეს.**

— ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლება ამ ზამთარს მოვიპოვე სტუდენტთა საკავშირო პირველობაში, — უთხრა ჯინჯიხაშვილმა ჩვენს კორესპონდენტს. — მოწადინებული ვიყავი კარგად მეთამაშა და ამიტომ დიდი გულმოდგინებით მოვეკიდე საწვრთნელ მეცადინეობას, რომელსაც გამოჩენილი დიდოსტატი ი. ბოლესლავსკი ხელმძღვანელობდა. იგი, სხვათა შორის, ოლიმპიადაზეც გვახლდა.

ვენაში გვმასპინძლობდა სსრ კავშირის ელჩი ავსტრიაში ბ. პოდცეროში. იგი შესანიშნავი მოჭადრაკეც ყოფილა. გვიამბეს, ერთ-ერთ ამხანაგურ მატჩში მან ყაიმს მიაღწია სახელგანთქმულ ავსტრიელ საერთაშორისო ოსტატ დიუკშტეინთან. პოდცეროშმა საელჩოს ავტობუსით გაგვისტუმრა დუნაის იბსში. მეორე დღეს იგი თავად დაესწრო ოლიმპიადის გახსნას და ჩემს პარტიაში (მე პირველ დაფაზე ვთამაშობდი ბრაზილიის გუნდთან) პირველი სვლა გააკეთა.

ტურნირში სათამაშოდ 25 ქვეყნის გუნდები ჩამოვიდნენ. ბრძოლა რომ არ გაჭიანურებულიყო, ორგანიზატორებმა მონაწილენი ქვეჯგუფებად დაჰყვეს. თვითეული ქვეჯგუფიდან ფინალში ორ-ორი გამარჯვებული დაუშვეს.

ჩვენი გუნდი (ვ. ტუკმაკოვი, გ. კუზმინი, რ. ჯინჯიხაშვილი, ა. კაპენგუტი, სათადარიგონი მ. პოდგაეცი, ვ. კუპრეიჩიკი) თავიდანვე ალმავლობით თამაშობდა და ფინალშიც გავედით.

ფინალში ძნელი ბრძოლა გველოდა. მთავარ მეტოქედ მიგვაჩნდა გფრ-ის გუნდი, რომელშიც სახელგანთქმული ოსტატები პფლიუგერი, ჰიუბნერგი, პოლაკი, კნუდტი, დიუბალა და ოსტერმაიერი შედიოდნენ.

ყველანი დუნაის იბსის სპორტის სასახლის — „შტადჰალეს" ერთ ფრცელ დარბაზში ვთამაშობდით. დილით გადადებული პარტიების დამთავრება გვქონდა, დღის 3 საათიდან — მორიგი ტური.

მე პირველად ვმონაწილეობდი ესოდენ დიდ შეჯიბრებაში საზღვარგარეთ და აქ ვიგრძენი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გუნდის ერთსულოვნებას, მეგობრულ მხარდაჭერას, მიზანსწრაფვას.

ფინალში, შეიძლება ითქვას, საუცხოოდ ვიბრძოლეთ. გაგახსენებთ შედეგებს: დანიას, ჩეხოსლოვაკიას, რუმინეთს, აშშ-ს და ბულგარეთის გუნდებს მოვუგეთ ერთნაირი ანგარიშით — 2,5:1,5, იუგოსლავიისა და გდრ-ის სტუდენტებს — 3,5:0,5, ისლანდიის გუნდს — 3:1, ხოლო გფრ-ის მოჭადრაკეებთან შეხვედრა ყაიმით დავამთავრეთ — 2:2.

დასკვნით ტურში რუმინელები მოულოდნელად დიდი ანგარიშით (0:4) დამარცხდნენ გფრ-ის მოჭადრაკეებთან, გერმანელები დაგვეწიენ (24,5 ქულა 36-დან) და I-II ადგილები გავიყავით. მაგრამ კოეფიციენტთა ცხრილით მსოფლიო ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედლები ჩვენ გვერგო.

აი, რა წვლილი შეიტანა გამარჯვებაში ჩვენი გუნდის თვითეულმა წევრმა: ტუკმაკოვი — 5 ქულა 10-დან, კუზმინი — 7,5 10-დან, ჯინჯიხაშვილი — 4,5 7-დან, პოდგაეცი — 6 9-დან, კაპენგუტი — 7 10-დან და კუპრეიჩიკი — 5,5 6-დან.

მე შვიდ მატჩში ვითამაშე: ორჯერ პირველ დაფაზე, სამჯერ — მეორეზე და ორჯერ — მესამეზე. მოვუგე არაჯიოს (ბრაზილია), კაპეცეს (იტალია), კუმერს (გდრ), ყაიმით დავამთავრე შეხვედრები მოესთან (დანია), პლახეტკასთან (ჩეხოსლოვაკია), ზარასთან (რუმინეთი) და იმავე ზარასთან წავაგე ნახევარფინალში.

ჩემი საუკეთესო პარტიები? მხოლოდ ის იყო ცუდი, რომელიც წავაგე, დანარჩენებს არა უშავს. აი, მაგალითად, პარტია ჩეხოსლოვაკიელ ოსტატ პლახეტკასთან.

ამ პარტიაში გათამაშდა სიცილიური დაცვის ის სისტემა, რომელსაც სპასკი გელერთან ამასწინანდელ მატჩში იყენებდა. მე-16 სვლაზე შავების თამაშის გაუმჯობესება ვცადე, პოზიციაც პერსპექტიული მივიღე, მაგრამ მეტოქეს ყაიმზე შევუთანხმდი, რადგან გუნდს ასე სჭირდებოდა.

**პლახეტკა — ჯინჯიხაშვილი**

სიცილიური დაცვა

**1. e4 c5 2. მc3 მc6 3. g3 g6 4. კg2 კg7 5. d3 d6 6. f4 მf6 7. მf3 0—0 8. 0—0 ეb8 9. h3 კd7 10. კe3 b5 11. a3 a5 12. g4 b4 13. ab ab 14. მe2 ეa8 15. ეc1 ეa2 16. b3 მa7!**

შავების მიზანია b5-ზე მხედრის დაყენება. გელერმა აქ f6 მხედარი წამოიყვანა და მეფის ფრთა დაასუსტა.

**17. f5 მb5 18. მf4 კc6 19. მg5 მd7 20. fg hg 21. ლe1 კf6 22. მd5 კ:d5 23. ed მფg7 24. ლh4 ეh8 25. ლg3 მd4 26. ეf2 მe5 27. კ:d4 კ:g5 28. კ:e5+ de 29. ლ:e5+ f6 30. ლe1 კ:c1 31. ლ:c1 e5 32 ლe1** (თუ 32. de, მაშინ 32. ... ლd4 33. ლf4 ე:c2!) **32. ... ლd6.** ყაიმი.

საუკეთესოდ მაინც საერთაშორისო ოსტატ კუმერთან პარტია მიმაჩნია.



**ჯინჯიხაშვილი — კუმერი**

ძველინდური დაცვა

**1. c4 მf6 2. d4 g6 3. მc3 კg7 4. e4 d6 5. h3 0—0 6. კe3 e5 7. d5 მbd7 8. კd3 მc5 9. კc2 a5 10. g4 მe8 11. მge2 f5 12. gf gf 13. ef კ:f5 14. კ:f5 ე:f5 15. მg3 ეf7 16. მge4!**

აქამდე თეორიაში ეს ყველაფერი ცნობილია, როგორც ბაქოელი ოსტატის ვ. მაკაგონოვის სისტემა. ეს კი ახალი გეგმის დასაწყისია. მისი მიზანია შავი ფიგურების ურთიერთკავშირის დარღვევა.

**16. ... მ:e4 17. მ:e4 კf6 18. ლg4+ ეg7 19. ლh5 ლd7 20. მფe2 ეg6 21. ეag1 ლf7 22. ლf3 c6 23. ე:g6+ hg 24. ეg1 კg7 25. ლ:f7+ მფ:f7 26. ეd1 c5 27. ეf1 a4** (შავებს არა აქვთ კარგი სვლები. მათი პოზიცია უიმედოა) **28. მფd3 ეb8 29. b4 ab 30. ab b5 31. ეa1 bc+ 32. bc ეb3+ 33. მფc2 ეb4 34. ეa7+ მფf8 35. მფc3 კf6 36. მ:c5.** შავები დანებდნენ.

• • •

**სურათზე:** მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი, რომლითაც საბჭოთა გუნდის თვითეული წევრი დააჯილდოვეს.




სსრ კავშირის პირველობა

## გაუქმები, გოლები, კამოძავები

სკანდალური ინციდენტებით აღინიშნა ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი მოსკოვში, სადაც თამაშობდნენ ადგილობრივი ცსკა და მინსკის „დინამო“.

ანგარიში გახსნა არმიელმა ფედოტოვმა. შემდგომში მინსკელებმა (მუსტიგინი) გაქვითეს გოლი, მაგრამ ცსკა-მ მაინც შეძლო გამარჯვება მასლიაევის მიერ გატანილი ბურთის წყალობით. ეს მატჩი დიდი უხეშობით აღინიშნა, რისთვისაც მსაჯმა მინდვრიდან გააძევა... 4 მოთამაშე — მინსკელები არზამასცევი, გირკო, მოსკოველები ფედოტოვი და დუდარენკო.

„ზარიასა“ და „კრილია სოვეტოვის“ შეხვედრაში ერთადერთი ბურთი გაიტანა ლუგანსკელთა ახალგაზრდა თავდამსხმელმა ლიტვინოვმა.



სურათზე: მატჩის მომენტი ქუთაისის „ტორპედოსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივს“ შორის. ქუთაისელთა ცენტრალური მცველი ზ. ებრალიძე იწყებს შეტევას. მისგან მარჯვნივ — რ. მარკინი.

ფოტო თ. ჯავახიძისა.

„ა“ კლასი I ჯგუფი

„ა“ კლასი II ჯგუფი

16 აგვისტოს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

წარმატებით ითამაშა თბილისის „ლოკომოტივმა“, რომელიც იჟევსკში შეხვდა ადგილობრივ „ზენიტს“. თბილისელებმა გაიმარჯვეს — 3:1.

ქულა აიღეს ბათუმის დინამოელებმა ჩელიაბინსკში, ადგილობრივი „ლოკომოტივის“ ძლიერ გუნდთან — 1:1.

ზონის ლიდერმა — სვერდლოვსკის „ურალმაშმა“ თავის მინდორზე მიიღო ტყიბულის „მეშახტე“. ლიდერმა მხოლოდ დაძაბული ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვა—2:1.

## ჩვენები: 3:1, 1:1, 1:2

დანარჩენ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ვოლგა“ (გორკი) — „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) 1:2, „სპარტაკი“ (იოშკარ-ოლა) — „ვოლგა“ (ულიანოვსკი) 2:0, „რუბინი“ (ყაზანი) — „ვოლგარი“ (ასტრახანი) 3:1, „მეტალურგი“ (მაგნიტოგორსკი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 0:0, „სტროიტელი“ (უფა) — „ფოლადი“ (სუმგაითი) 1:0, „ზვეზდა“ (პერმი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 0:0, „ტორპედო“ (ტაგანროგი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 0:0.

„ბ“ კლასი

15 აგვისტოს გაიმართა რსფსრ-ს III და IV ზონების გუნდების მორიგი მატჩები, რომლებიც ასე დამთავრდა:

### III ზონა

„ტექსტილშჩიკი“ (მინგეჩაური) — „დაშკინი“ (ზაქათალა) 0:0, „სპარტაკი“ (ორიოლი) — „უროჟაი“ (სვერდლოვსკი) 3:0, „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) — „ურალანი“ (ელისტა) 2:0, „სპარტაკი“ (ბელგოროდი) — „კოლოსი“ (ალექსანდროვსკაია) 4:1, „უროჟაი“ (სლავიანსკი) — „უროჟაი“ (მაიკოპი) 0:1, „ხიმიკი“ (ნევინომისკი) — „უროჟაი“ (ლაბინსკი) 5:0, „უროჟაი“ (ლენინგრადსკაია) — „ტორპედო“ (არმავირი) 3:1, „ხიმიკი“ (ბალაკოვო) — „დილა“ (გორი) 2:0, „ენერგია“ (ვოლჟსკი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 0:0.

### IV ზონა

„უროჟაი“ (დერბენტი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 1:0, „ტრუდი“ (კასპიისკი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:1, „კახეთი“ (თელავი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 0:2, „ნარზანი“ (კისლოვოდსკი) — „მაშუკი“ (პიატიგორსკი) 0:1, „უროჟაი“ (კრიმსკი) — „ირისთონი“ (მოზდოკი) 1:0, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „უროჟაი“ (გროზნო) 4:2, „დინამო“ (სოხუმი) — „ლერნაგორცი“ (კაფანი) 3:0, „კოლხეთი“ (ფოთი) — „არაქსი“ (ეჩმიაძინი) 0:1.

## ლედნიოვი — ჩემპიონი... შვეციისა

სტოკჰოლმი, 16 აგვისტო. ლვოველმა არმიელმა, 25 წლის პ. ლედნიოვმა ბრწყინვალე შედეგით — 5290 ქულით გაიმარჯვა შვეციის თანამედროვე ხუთჭიდელთა ღია პირველობაში. ამრიგად, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელს ამ შესანიშნავმა სპორტსმენმა შვეციის ჩემპიონის წოდებაც მიუმატა.

ლედნიოვის აქილევსის ქუსლი ადრე ცხენოსნობა იყო. როგორც ჩანს, ახლა იგი კარგად ზის უნაგირზე. სწორედ შეჯიბრების სტარტზე — საცხენოსნო კროსში იგდო მან ხელთ ლიდერობა და ასპარეზობის ბოლომდე ერთი დღითაც არ დაუთმია იგი.

II ადგილი დაიკავა შვეციის სამხედრო მოსამსახურემ ბ. ფერმმა — 5192 ქულა. III საპრიზო ადგილზეა კიეველი ბ. ონიშჩენკო — 5176. მოსკოველმა ე. სდობნიკოვმა მხოლოდ VI ადგილის დაკავება შეძლო— 4941.

გუნდურ ჩათვლაშიც ყველას აჯობეს საბჭოთა სპორტსმენებმა, რომლებმაც 15.407 ქულა მოაგროვეს. II ადგილი მოიხვეჭეს მასპინძლებმა (14.964), ხოლო .III — უნგრელებმა — (14.911).

## თასი პრაღაში მიაქვთ

ლენინგრადი, 17 აგვისტო. (საქდესი). სსრ კავშირის 7 წლის ბინადარი, ევროპის მაგიდის ჩოგბურთელთა ახალგაზრდული შეჯიბრების მთავარი პრიზი — ბუქარესტის თასი პრაღელებს მიაქვთ. რიგით მე-11 ტურნირში ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდა სპორტსმენთა გუნდი მართლაც საუკეთესო აღმოჩნდა. თასის ხუთგზის მფლობელები — საბჭოთა ჩოგბურთელები გამარჯვებულთ მთელი 9 ქულით ჩამორჩნენ და II ადგილი დაიკავეს.

საბჭოთა სპორტსმენებიდან საპატიო კვარცხლბეკზე ავიდნენ მხოლოდ რიგელი უ. ეგლიტისი და გროდნოელი ვ. ზლენკო, რომელთაც ჭაბუკთა წყვილების შეჯიბრება მოიგეს. გუნდურ ტურნირში ორმაგი წარმატების შემდეგ ჩეხოსლოვაკიელებმა ორჯერ გაიმარჯვეს პირად შეჯიბრებაშიც. მათმა წარმომადგენელმა, მოსწავლე ი. ტურაიმ ფინალში დაამარცხა უნგრელი ტ. დლამპარი (21:11, 21:16), შემდეგ კი თავის 14 წლის თანამემამულე ი. ვოშტოვასთან ერთად შერეულ წყვილთა შეჯიბრებაც მოიგო.

ფინალურ შეხვედრებში ერთადერთი სენსაცია მოხდა: რუმინელმა მოსწავლე გოგონამ კ. კროშანმა ყველა პროგნოზის წინააღმდეგ საკმაოდ იოლად დაამარცხა ევროპის ჩემპიონი მოზრდილთა შორის ვოშტოვა — 21:18, 21:18. ჩემპიონი, რომელსაც ამ ტურნირში ბედი არ სწყალობდა, ძალიან ნერვიულობდა და შეცდომებს უშვებდა.

ქალთა წყვილებში გაიმარჯვეს ჰ. შტეფანმა და ე. ლეფლერმა (გდრ).

ამ შეჯიბრებას, რომელმაც ჩვენი კონტინენტის 17 ქვეყნის 180-მდე სპორტსმენს მოუყარა თავი, ევროპის მაგიდის ჩოგბურთის იმედების დათვალიერებას უწოდებენ. ამ თვალსაზრისით მან იმედი გაუცრუა საბჭოთა სპორტის მოყვარულებს. ახალგაზრდა საბჭოთა ჩოგბურთელებიდან თითქმის არავინ გამოირჩევა ნამდვილი სპორტული სიმწიფით. გამონაკლისია მხოლოდ ეგლიტისი. რჩება შთაბეჭდილება, რომ საბჭოთა მწვრთნელებმა გული დაიმშვიდეს საერთაშორისო სარბიელზე თავიანთი აღზრდილების ბოლოდროინდელი წარმატებებით და ყურადღება მოადუნეს.

მაგიდის ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა რ. ევანსმა შეჯიბრების შემდეგ თქვა: „ლენინგრადის შეჯიბრებას დიდი რეზონანსი ექნება ევროპულ მაგიდის ჩოგბურთში. მე პირველად დავესწარი ამ ტურნირს და დავრწმუნდი, რომ მას დიდი სარგებლობა მოაქვს ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის. სპორტის ისტორია მოწმობს, რომ სწორედ ამ ასპარეზობაში გადადგა პირველი ნაბიჯები პატარა ჩოგნის ბევრმა გამოჩენილმა ოსტატმა. ვფიქრობ, ლენინგრადის ტურნირი ტრადიციას არ შეცვლის. შეჯიბრების მონაწილეთა შორის ბევრი საიმედო სპორტსმენი შევნიშნე“.

## ბოლო რეპეტიცია მეხიკოს წინ

ორი თვე აღარც დარჩა იმ დღემდე, როცა მეხიკოს „აცტეკის“ სტადიონის თავზე XIX ოლიმპიური თამაშების ჩირაღდანი აგიზგიზდება. სპორტსმენებს სურთ დარჩენილი დრო რაც შეიძლება რაციონალურად გამოიყენონ, მთლიანად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები.

ამ თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირსაც, რომელიც 19-20 აგვისტოს თბილისის ზამთრის საცურაო აუზში ჩატარდება, 22-23 აგვისტოს კი ბათუმის „დინამოს“ აუზში. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ბულგარეთის, ჰოლანდიის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები. ითამაშებს საქართველოს ნაკრებიც, რომლისთვისაც ეს ასპარეზობა კარგი სკოლა იქნება.

თავდაპირველად მთავარ მონაწილეებს გავეცნოთ. სსრ კავშირისა და პოლონეთის ნაკრები გუნდები ევროპის წყალბურთის ელიტას ეკუთვნიან. საბჭოთა და ჰოლანდიელი წყალბურთელები ბევრჯერ შეხვედრიან ერთმანეთს სხვადასხვა ოფიციალურ ტურნირში და ჩვენებს დადებითი ბალანსი აქვთ.

ბულგარელები და ჩეხოსლოვაკიელები მსოფლიო სარბიელზე არც ისე დიდი ხნის გამოსულნი არიან და ამიტომ მათზე გარკვევით რაიმეს ჯერჯერობით ვერც ერთი საბჭოთა სპეციალისტი ვერ იტყვის. ყოველ შემთხვევაში, სიურპრიზები მათგან მოსალოდნელია: კარგა ხანია იქცა ჭეშმარიტებად, რომ სუსტი მეტოქეები უკვე აღარ არსებობენ.

რამდენიმე სიტყვა საქართველოს ნაკრებზე. ეს ძირითადად ახალგაზრდული კოლექტივია, რომელშიც დედაქალაქის ორი კლუბის—„დინამოს“ და „ბურევესტნიკის“ საუკეთესო ძალები თამაშობენ. ისეთ სპორტსმენებს, როგორიც არიან ვ. სანაძე, ო. მიმინოშვილი, ბ. მეგედი, ვ. ისელიძე, მ. გულედანი, დიდი დახასიათება არ სჭირდებათ. მათ უკვე გაგვაცნეს თავი საუკეთესო წყალბურთელებად. ამ სპორტსმენებთან ერთად ითამაშებენ 17 წლის ნ. კურტანიძე, 19 წლის თ. ჩიხლაძე, 20 წლის თ. უშანგიშვილი და გ. მალანია. საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ვ. გოიაშვილის აზრით, მათ დიდი მომავალი აქვთ.

თბილისისა და ბათუმის ტურნირის დიდ მნიშვნელობას ისიც მოწმობს, რომ ამ შეჯიბრების სანახავად საგანგებოდ ჩამოდის ცურვის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ა. ლამბოშა. მსაჯებად მოწვეული არიან უცხოელი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრები მ. მანგილოტი ჟ. ბოუენსი და ჟ. გიურტსენი.

თბილისის და ბათუმის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებმა სპეციალური პრიზები დააწესეს იმ გუნდებისა და მოთამაშეებისთვის, რომლებიც ტურნირში თავს გამოიჩენენ. (საქდესი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის საცურაო აუზი

(ჭავჭავაძის პრ. № 49-ბ)

19-20 აგვისტო

წყალბურთი

საერთაშორისო ტურნირი

მონაწილეობენ ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, ჰოლანდიის, სსრ კავშირისა და საქართველოს ნაკრები გუნდები.

დასაწყისი 19 ს.

თბილისის სპორტული ბაზრები

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. 18 აგვისტო. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მშენებელი“ (სიღნაღი). „სინათლის“ სტადიონი (ავჭალის გზატკეცილი). „სინათლე“ (თბილისი) — „კოლმეურნე“ (წალენჯიხა). ორივე მატჩის დასაწყისი 18 ს.

## მძლოსნურ მერიდიანებზე

ტოკიო. მჩატე წონის იაპონელმა ათლეტმა კ. ანდომ იუნიორთა მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან 110 კგ აჭიმა და 2,5 კგ-ით „დაამძიმა“ თავისივე წინანდელი რეკორდი.

პორი. ფინეთის ამ ქალაქში გაიმართა ფინელ და შვედ ძალოსანთა სამატჩო შეხვედრა. შვეციის ორი რეკორდის ავტორი გახდა კონტინენტის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ქვემძიმე წონაში ბ. იუჰანსონი. მან 150 კგ აიტაცა და სამჭიდში 507,5 კგ დააგროვა. ფინეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნების ორი რეკორდი დაამყარა კ. ლაჰდენრანტამ (მძიმე წონა), რომელმაც აჰკრა 198 კგ და სამჭიდში 517,5 კგ აჩვენა (164,5 + 155 + 198). II ადგილზე გასულმა უ. იუჰანსონმა 515 კგ დააგროვა და შვეციის რეკორდი დაამყარა.

ოკლენდი. ახალი ზელანდიის რეკორდი დაამყარა მძიმე წონის ათლეტმა დ. ოლივერმა — 502,5 კგ. წინანდელი მიღწევაც მას ეკუთვნოდა და 3 კგ-ით ნაკლები იყო. ოლივერი „500-ანთა კლუბის“ 43-ე წევრი გახდა.

ლუგანსკი. აქ გაიმართა პროფკავშირების ძალოსანთა საკავშირო პირადგუნდური პირველობა, რომელშიც 25 სპორტული კლუბისა და ფიზკულტურული კოლექტივის 200 ათლეტი მონაწილეობდა. მჩატე წონაში გაიმარჯვა ალმაათელმა სპორტის ოსტატმა პ. კიმმა — 320 კგ. ქვემსუბუქ წონაში ტოლი არ ჰყავდა ადგილობრივ ძალოსანს ნ. ვარავას — 355 კგ. ქვესაშუალო წონაშიც ლუგანსკელი ათლეტი ს. მურთაზაევი იყო უძლიერესი — 392,5 კგ. ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ელმავალმშენებელი ქარხნის ზეინკალმა ა. კიდიაევმა (ქვემძიმე წონა) პროფკავშირთა 2 საკავშირო რეკორდი დაამყარა: 147,5 კგ აიტაცა და 192,5 კგ აჰკრა. სამჭიდში მან 495 კგ დააგროვა. მძიმე და ზემძიმე წონებში კვლავ ლუგანსკელმა ათლეტებმა ისახელეს თავი: ი. იაბლონოვსკიმ მძიმე წონაში 497,5 კგ აჩვენა, ხოლო გ. დიაჩენკომ ზემძიმე წონაში — 510 კგ. გუნდურ ჩათვლაში მეხუთედ გაიმარჯვეს ლუგანსკის „ზარიას“ ძალოსნებმა.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 00839